19 (31) აგვისტოს, 1866. № 25. პირველი წელიწადი.

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| 10-ის თვისა | — 6 — | — — — 5 — |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ—3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრიდამ.

---

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ის ფული.

---

**შინა-არსი:** — ტფილისი, 19 აგვისტოს. მართებლობის განკარგულება: — ტფილისის გუბერნიის მარშლის კანცელარიიდგან. — ტფილისის უეზდის აზნაურობის მარშლისაგან. საფოჩტო მკიბაქების სამმართველოს უმთავრესის კანტორისაგან. — ტფილისის გუბერნიის სატუსაღო კამიტეტისაგან. კორრესპონდენცია: — მლეთის საზოგადოების სათემო განჩინება. პოლიტიკა: — რუსის ინვალიდიდამ, 2 აგვისტოს. ტელეგრამმები. სალიტერატურო ნაწილი: - [illegible] ამერიკაში. სხვა და სხვა ამბავი: ციებ-ცხელების წარმოდგომა. ბიბლიოგრაფიული ცნობა. კერძოობითი განცხადებები.

---

### ტფილისი, 19 აგვისტოს.

ამ ნომერში ვბეჭდავთ ჩვენ ერთს კორრესპონდენციას და იმედი გვაქვს ამ კორრესპონდენციის საგანს „დროების“ მკითხველები ყურადღებას მიაქცევენ. ის მივიღეთ ქვიშეთიდამ, რომელიც მდებარებს დიდს გზაზედ კავკასიის გულში და ეკუთვნის ხევის მაზრას. კორრესპონდენცია შეიცავს განაჩენს, რომელიც მლეთის სოფელს შეუდგენია ამ წელს მაისში, სასოფლო ბანკის დაწესების გამო. კორრესპონდენტი გვწერს, რომ მლეთის მაგალითს სხვა სოფლებიც შესდგომიანო, ესე იგი, სიონი, სნო და კობი. პირველი აზრი მიუცია მაზრის ნაჩალნიკს, უ. გრიგორიევს. სოფლები მოხარულნი თურმე არიან და იმედი აქვთ, რომ საქმე კეთილათ იწარმოებს.

ეს საქმე ესეთი საქმეა, რომ არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ წარმოვსთქვათ იმის გამო. კაპიტალის შედგენა ამხანაგობით. სასოფლო ბანკები განათლებულს ქვეყნებში ჩვენ დროს უკეთესს საფუძვლათ და უპირველესს ღონის-ძიებათ არის მიღებული საზოგადო კეთილ-დღეობისთვის. ამ საგანზედ ჩვენმა მკითხველებმა კიდეც იციან „დროების“ აზრი, რომელიც გამოითქვა ორჯელ: პირველათ იმერეთის სააზნაურო ბანკის გამო, მეორეთ ევროპის ასსოციაციების გამო სტატიაში: „ისტორიული მოძრაობა განათლებისა“. ჩვენ შემდეგშიაც არ დავცხრებით; ყოველს ამ გვარს შემთხვევას სიამოვნებით მივიღებთ, რომ კიდევ და კიდევ მოვილაპარაკოთ ხოლმე.

მოვიგონოთ მოკლეთ, რაც რომ ამ საგანზედ იყო ნათქვამი „დროებაში“. ევროპაში გონების გახსნა და მეცნიერება ძალიან წარმატებაში შევიდნენ. მაგრამ რასაც მეცნიერება უნდა მსახურებდეს, ჯერ სამწუხაროთ, უკან არის დარჩენილი. ჩვენ ვამბობთ თვით ხალხის კეთილ-დღეობაზედ. სხვა და სხვა ღონის-ძიება არის ნაჩვენები საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესობისთვის. უმეტესი ნაწილი იმათ შორის უქმათ აღმოჩნდა. ბოლოს დროს შესდგნენ იმაზედ, რაც რომ უკეთესი იყო: კაპიტალის დაწესებაზედ ამხანაგობით, ამხანაგობით აღებ-მიცემაზედ და ბანკების შედგენაზედ; ფასი აღებ-მიცემობაში, პროცენტი ანუ სარგებელი ბანკში არის დადებული მცირე. საქმეს შეუდგებიან ხოლმე ძალიან ადვილათ თვით ულონონი და ღარიბნი: რამდენიმე ამხანაგი შეიტანს აბაზობით, მანეთობით, თუმნობით; ვისაც საკუთარი ფული არა აქვს, სესხულობს; ფული, რაც უნდა მცირე სარგებელი ჰქონდეს იმას, ძალიან მატულობს, თუ რომ ადამიანი გონივრულათ დააწესებს საქმეს. სულ ათი წელიწადია გასული რაც ამხანაგობაები დაიწყეს ევროპაში და რა გვარათ გრძნობენ იმის საჭიროებას, რამდენათ არიან ახლა გავრცელებულნი, ეს სჩანს შემდეგის ფაქტიდამ: ანგლიაში—მთელს მცხოვრებლებში, ამხანაგობას ეკუთვნის ცხრიდამ ერთი კაცი, ბელგიაში—სამოცდა ოთხიდამ ერთი, ფრანციაში—სამოცდა თექვსმეტიდამ ერთი, გერმანიაში—უფრო ნაკლებათ. რიცხვი სხვა და სხვა ამხანაგობის წევრებისა მარტო ანგლიაში და ფრანციაში შეადგენს ხუთს მილლიონზედ მეტს.

გსურთ შეიტყოთ, რა მჭიდროთ ამყარებს ამხანაგობა კეთილ-დღეობას? შეადარეთ იმ კაცის ცხოვრება, რომელიც ამხანაგობას ეკუთვნის, ცხოვრებას იმ კაცისას, რომელიც ამხანაგობაში არ არის შესული. მაგალითათ მოგვყავს დაბალი ხალხი: ერთიც და მეორეც ამ უწყებას ეკუთვნიან. ამხანაგობის წევრი რამდენისამე წლის წინათ ყოფილა ღარიბი და ღატაკი; ახლა კი იმას იმდენი აქვს შეძენილი, რომ კმაყოფილათ სცხოვრებს. რომელს ამხანაგობასაც უკეთ მიჰყავს საქმე, იმის წევრებს ფულიც ბლომათ აქვთ შეკრებილი, ასე რომ მარტო სარგებლით შეუძლიან სახლობა გამოკვებოს. გარდა ამისა, ის სწავლაზედაც ფიქრობს: შვილების სასწავლებლათ ამხანაგობაები თვითონვე შკოლებს აწესებენ; თვით წევრებისთვის აწესებენ ბიბლიოთეკებს, საკითხავს კლუბებს. იმათ აქვთ პურისა და სხვა და სხვა სავაჭრო მაგაზინები: როგორათაც წევრები, აგრეთვე გარეშე პირნი ყოველს ხორაგს, სავაჭროს ბევრით იაფათ პოულობენ ამ მაგაზინებში, ვიდრე ბაზრებში და ბაზრის მოვაჭრეებში: იქ 15—20 პროცენტით ყოველივე ნაკლებია. თავიანთს სავაჭროს გასავრცელებლათ ისინი ხმარობენ უკეთესს ღონისძიებას: ზომიერებას და პატიოსნებას. ასე თითქმის ყველგან. ეს პატიოსნება აღმოაჩინეს ნამეტნავათ ბანკების საქმეში. ამხანაგობით შედგენილი ბანკები დიდათ ვრცელდება. აქ სარგებელი 10 პროცენტზედ მეტი არ სად არის, ესე იგი ორ-შაურზედ მეტი მანეთზედ წელიწადში. აი რა არის ამხანაგობა, ან რა სასარგებლოა ისა მთელის საზოგადოებისთვის. იმედი აქვთ, თავისს დროზედ მთელი ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ყველგან ევროპაში ამ გვარს ამხანაგობაზედ იქნება დამოკიდებული.

ამხანაგობის ღირსება უფრო მაშინ შეგვიძლიან კარგათ დავაფასოთ, როდესაც წარმოვიდგენთ იმ კაცების ცხოვრებას, რომელნიც გაცალკევებით სცხოვრებენ, ამხანაგობას არ ეკუთვნიან. იმათი ცხოვრება, იმათი სვე არის მონებრივი: ისინი ბაზრის ვაჭრების ხელში არიან. ვთქვათ, ღარიბი კაცი ერთს თუმანს სესხულობს; ეს ერთი თუმანი იმას ძვირათ უჯდება: წელიწადში თხუთმეტ მანეთათ, ორ თუმნათ და უფრო მეტათ. ვალიდამ ვერ გამოდის. ხორაგი, ყოველივე გამოსაკვები აგრეთვე ერთი ორათ უჯდება იმას. ეს არის მიზეზი, რომ იმისგან ოფლით შეძენებული, ყოველი იმისგან ნაშრომი სხვებს მიაქვთ. ასეა მთელი იმისი ცხოვრება. ოჯახობის გამოკვება იმას არ შეუძლიან. ამის გამო უფრო გაძლიერდა ევროპაში პროლეტარიატი ანუ უკიდურესი სიღარიბე, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან არის გავრცელებული და ტვირთათ აწევს ევროპას. იმისი მოსპობა შეუძლიან მხოლოთ ასსოციაციას ანუ ამხანაგობას. რაღა თქმა უნდა, რომ გონების გახსნა, სწავლა, პატიოსნება და ზნეობა პროლეტარიებში შეუძლებელი საქმე არის.

ჯერ ჩვენს ხალხს არ გამოუცდია პროლეტარიატი. იმედი გვაქვს, არც ჩავარდეს ამ მდგომარეობაში, თუ ის თავისს კეთილ-დღეობისთვის ღონის-ძიებას მიიღებს. ჩვენი მხარე ბუნებას შეუმკვია ყოველის ფრით, ყოვლის ნაყოფიერებით. კახეთი, იმერეთი, ქართლი სწორეთ სამოთხეა: ბევრი ქვეყანა არ არის ხმელეთზედ, რომ ამათ შეედრებოდეს. ამასაც არ ვიტყვით, რომ ზარმაცნი ვიყვნეთ: ჩვენ ვშრომობთ, მაგრამ ჯერ არ ვიცით, როგორ უნდა ვიშრომოთ, რომ ჩვენი შრომა ისევ ჩვენს ხელში დარჩეს; არც ეს ვიცით, როგორ უნდა ვასარგებლოთ ეს შრომა, რომ ჩვენც შევიძინოთ და სხვებსაც შევძინოთ. ეს გვაკლია ჩვენ. ამაზედ უნდა ვიფიქროთ, ამას უნდა ვეცადნეთ.

საკმაოა რამდენიმე სიტყვა, რომ ჩვენის ხალხის ახლანდელი მდგომარეობა გამოვხატოთ. ჩვენში კეთდებიან რამდენნიმე ფულის მქონებელნი პირნი მრავალის შრომით და მოღვაწეობით. ეს წესი თუ არ შეიცვალა, დიდს ვნებას მისცემს ყველას. ხალხს გაალარიბებს. ახლავე ვხედავთ, რომ ამ სიღარიბის გზაზედა ვდგევართ, და რამდენისამე დროს შემდეგ უეჭველათ პროლეტარიატში ჩავცვივით. ჩვენ ყველანი ვალში ვართ; ამ ვალიდამ ვერ გამოვდივართ. რა არის მიზეზი? ვთქვათ ოცი თუმანი მეჭირება და ვსესხულობ; მაგრამ ეს ფული მე ერთი-ხუთათ და ერთი-ათათ მიჯდება. უბედურს გლეხს ყოველთვის ეჭირება ფული: იმან უნდა გამოჰკვებოს სახლობა, გაიღოს სახაზინო ხარჯი, აძლიოს მებატონეს. შოულობს ფულს პურზედ, ღვინოზედ. მაგრამ როგორ? ერთის კოდის მაგიერ მიაქვთ ათი კოდი, ერთის საპალნის მაგიერ ათი საპალნე. ხან-და-ხან ორის სამის თუმნისთვის მამულსა ჰკარგავს: სარგებელი ისეთი ულთოა, ისე მატულობს მცირეს ხანში, რომ ველარ მოუხერხებია იმისი გამოხსნა. ეს სენი მთელს ხალხშია გავრცელებული. ხალხი გრძნობს თავისს მდგომარეობას, მაგრამ მახეშია გაბმული და არ იცის რა ქნას.

ამ უბედურებაში ვინ უნდა მისცეს იმას შემწეობა? ეს მოვალეობა აძევს ყველა მაზრებში ადგილობრივს მოხელეებს, რომელნიც მთავრობისაგან არიან დაყენებულნი; ის აძევთ აგრეთვე მიროვის პოსრედნიკებს და აგრეთვე ყველას, ვისაც სწავლა აქვს მიღებული და ესმის საქმის გარემოება. იმათ უნდა ჩააგონონ ხალხს, განუმარტონ, უჩვენონ მოსახმარი ღონის-ძიება. ეს ღონის-ძიება ძნელი არა არის რა. დააწესონ ამხანაგობაები, შეადგინონ კაპიტალები. აბაზობით და მანეთობით იმათ შეუძლიანთ იმთენი შეიძინონ, რომ საჭირო აღარ იყოს იმათთვის გარეშე სესხი, დამღუპავი იმათის შრომისა და ნაღვაწისა. გაიჩინონ პურის მაღაზინები, აქედამ აძლიონ სესხით პური ზომიერის სარგებლით, ან გაჰყიდონ ხოლმე, და აქციონ კაპიტალათ (თავნათ) და ეს-კაპიტალი ამუშაონ ხოლმე. ამხანაგობანი თვითონვე შეუდგნენ აღებ-მიცემობას: თვითონვე ჰყიდონ პური, ღვინო და სხვა ხორაგი და სავაჭრო. სხვას ნუ აძლევენ თავიანთს შრომას და ოფლს. დააწესონ სოფლებში პატარ-პატარა ბანკები, ბანკებს დაუნიშნონ ხუთიდამ ათამდე პროცენტი ანუ სარგებელი....

მხოლოდ ამ გვარათ შეიძლება კეთილ-დღეობის გავრცელება ხალხში. თუ არ ამხანაგობით, არაფერი არა მოხერხდება რა. მართალია ასში-ორასში ერთი გამდიდრდება, მაგრამ გამდიდრდება ყოვლის უსამართლობით. მაგრამ საზოგადოებას რა? საზოგადოება მხოლოდ ღარიბდება, ზნეობით მცირდება.—აი, რა აზრები დაბადა ჩვენს გონებაში, როდესაც მლეთის განჩინება წავიკითხეთ. ღმერთმა ინებოს, რომ ეს საქმე დამყარდეს და გავრცელდეს სხვა მაზრებშიაც, ერთის სიტყვით, მთელს ჩვენს მხარეში. დასასრულ, ჩვენი სურვილი ეს არის, რომ ყოველივე ამ გვარი შემთხვევა აცნობონ ხოლმე „დროების“ რედაქციას. ეს საჭიროა ჩვენთვისაც და ჩვენის მკითხველებისთვისაც. „დროების“ შემწეობით უფრო ადვილი იქნება იმისი გავრცელება ხალხში. „დროება“ ეცდება კიდეც, უჩვენოს ხოლმე, თუ რა და რა საფუძველია საჭირო ამა და ამ შემთხვევაში, როგორ არის ის დაწესებული სხვა და სხვა ადგილებში.

P. S. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ამ ორის წლის წინათ ბანკის საქმეს შეუდგა; როგორც გვახსოვს, ფულიც შეკრიბა, მაგრამ არ ვიცით, რა დაემართა ამ საქმეს. აგრეთვე წელს იმერეთის თავად-აზნაურობამ მიჰყო ხელი ამ საქმეს; არცა რა იქიდამ გვაქვს ცნობა მიღებული. რას მივაწეროთ ეს დუმილი? ნუ თუ არა გრძნობენ, ვის ხელშიაც ეს საქმეებია, რომ საზოგადო საქმის დაწყებაში დუმილი მავნებელია?

---

### მმართებლობის განკარგულება.

#### ტფილისის გუბერნიის მარშლის კანცელარიიდგან.

მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა ინება, რომ ტფილისის გუბერნიის აზნაურობამ მომავალის სამწლოვანებისათვის კენჭით არჩევა დაიწყოს ამ წლის 1-ს დეკემბერს. გუბერნიის მარშალი საზოგადოებას აცნობებს ამასა და თვითოეულად სთხოვს ყოველთავე თავთავის ვალდებულების აღსრულებისლიის დროჟთ იზრუნვონ, რომ ამითი პასუხის-გება მოიცილონ დაწესებულის რიგის აუღსრულებლობისთვის; და ამასთან დასძენს, რომ უეზდებში შეკრება უნდა მოხდეს 1-ს სეკტემბერს.

#### ტფილისის უეზდის აზნაურობის მარშლისაგან.

მისმა იმპერატორებითმა დიდებულებამ კავკასიის ნამესტნიკმა ინება, რომ 1 დეკემბერს 1866 წელს ტფილისის გუბერ-

ნიის აზნაურობამ კენჭით არჩევა დაიწყოს. თვითოეულმა აზნაურმა უნდა წარმოადგინოს პირდაპირ მოწმობა უეზდის ნაჩალნიკიდგან. ეს მოხსენებული მოწმობა 1 სეკტემბრამდის უნდა უთუოდ წარმოადგინოს, რადგანაც ამ დროდგან დაიწყება უეზდებში აზნაურობის შეკრება. ვისაც ეს მოწმობა არ ექნება, იმას არ შეეძლება, რომ მიიღოს მონაწილეობა კრების საქმეში. იმ აზნაურებს, რომელთაც არ მიუღიათ ცალკე ეგზემპლიარი სჯულიდგან გამოკრებული, შეუძლიანთ მიიღონ ეს ჩემგან.

საფოჩტო ეკიპაჟების სამმართველოს უმთავრესის კანტორისაგან. საფოჩტო ეკიპაჟების სამმართველოს უმთავრესს კანტორაში მოხდება ტორგი 31 რიცხვს ამ თვისას პერეტორჟკით სამის დღის შემდეგ. ვისაც ჰსურთ, რომ 13 სტანციისთვის, რომელნიც იმყოფებიან დიდს ვლადიკავკაზის გზაზედ, შეამზადონ, 1867 წლისთვის, თივა, ქერი და ფქვილი, ისინი უნდა გამოცხადდნენ დანიშნულს დროს კანტორაში სარწმუნო გირავოებით, სადაც ისინი გაიგებენ, თუ რამდენი თივა, ქერი და ფქვილი მოუნდება თითო სტანციას.

8 აგვისტოს, 1866 წელს.

ტფილისის გუბერნიის სატუსაღო კამიტეტისაგან. თანახმად წარდგინებისა დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკისა და თანახმად კავკასიის კამიტეტის წესდებისა, 1866 წელს 23 აპრილს, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა დაწესება განსაკუთრებითის საზოგადოებისა, რომელიც მიაქცევს ყურად-ღებას იმ საპყრობილეებს, რომელნიც იმყოფებიან კავკასიის და კავკასიის აქეთამხარეში. ეს საზოგადოება დაწესდება იმ წესების ძალით, რომელნიც არიან მოხსენებულნი 28—94 მუხლებში уст. о содер. подт стр. т. XIV св. граж. зак. (изд. 1867 года).

ამის გამო დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ბძანებით, ტფილისში გაიხსნა გუბერნიის კამიტეტი, რომელიც იზრუნებს საპყრობილეთათვის. ამ კამიტეტშია დანიშნული ხუთი ვიცე-პრეზიდენტი და ოცდა ათამდი დირეკტორი. ტფილისის გუბერნიის კამიტეტი ამაზედ აცნობებს საზოგადოებას და ამასთან დაუმატებს, რომ კამიტეტის კანცელარია იმყოფება ტფილისის გუბერნიის სასამართლოში.

## კორრესპონდენცია.

მლეთის საზოგადოების სათემო განჩინება, რომელიც შესდგა ამ 1866 წელს 10 მაისს. სამთო ოკრუგის მლეთის სახელმწიფო გლეხების სასოფლო საზოგადოების ყრილობამ სამთო ოკრუგის ნაჩალნიკის გრიგოროვის წინადადებით 1866 წელს 10 მაისს განაწესა:

იმ ფულებიდამ, რომელიც მოგვეცა ჩვენ ხარ-ურმის გამოყვანისთვის და შეშის მოტანისთვის იმ დროს, როდესაც ჩაჩნებმა გამოიარეს წარსულს 1865 წელს სამთო ოკრუგზედ, გარდა იმისა რაც საზოგადო საჭიროებისთვის მოგვიხმარნია და რაც ბილეთით სატყეო უწყებისთვის მიგვიცია, დანარჩენის ფულით ჩვენ ვაწესებთ სოფლის საზოგადო თავნსა. ეს თავნი ჩვენის საზოგადოებისგან აღმორჩეულს ხაზინადარს ებარება და ექნება ქვემოხსენებული დანიშნულება.

1) ჩვენგან განწესებულის თავნიდგან, რომელიც შეიცავს ამდენსა და ამდენს, უნდა მიეცეს ხოლმე კერძო პირს, რომელსაც ფული უჭირს, 10 მანეთი სარწმუნო გირაოთი ხუთის პროცენტით (სარგებლით) ნახევარის წლის განმავლობაში (10% წელიწადში), იმ პირობით, რომ თუ ეს ფული იმან თავის დროზედ არ შემოიტანა, გირაო საზოგადო დაფასებით გაისყიდება და შემოსულის ფულით თავნი შეივსება.

2) შემოსული პროცენტი ანუ სარგებელი თავნს მიემატება.

3) რადგანაც თავნი იქნება ხელ-უხლებლად, ამისთვის საზოგადოებას შეეძლება გამოიტანოს იქიდამ ფული საზოგადო საჭიროებისთვის იმ პირობით, რომ დანიშნულს დროს ისევ საზოგადოებამ შემოიტანოს გატანილი ფული თანასწორის შეწერით თითო კაცზედ.

4) თავნი უნდა შემოწმდეს წელიწადში ორჯერ, ივნისში და დეკემბერში; ამისათვის რწმუნებულმა პირმა, რომელსაც ეს ფული ექნება მინდობილი, საზოგადო კრებას უნდა წარუდგინოს ამ თავნის ანგარიში.

5) თუ რწმუნებულმა პირმა გაფანტა საზოგადო თავნი, მაშინ იმან უნდა ზღოს ეს ფული თავისის ქონებითა. ამისთვის ის მოვალეა, რომ ხელ-წერილი მისცეს ამაში საზოგადოებას, როდესაც იმისგან მიიღებს ფულს შესანახავათ.

შენიშვნა: საზოგადოებამ დანიშნა 10% (სარგებელი, პროცენტი), იმისთვის, რომ მთაში ხშირად კერძო პირი აძლევს ხოლმე ფულს 20% და 30%, გარდა იმისა რომ სარწმუნო გირაოსაც იღებს. ამისთვის საზოგადოებისგან დანიშნული 10% (პროცენტი) ბევრი არ არის.

6) ამის შემდეგ რაც საერთო ფულს მივიღებთ შეშაში და ხარ-ურმის გამოყვანაში, ყველას ჩვენ განვაწესებთ ხოლმე საზოგადო თავნის გასადიდებლათ.

## პოლიტიკა.

რუსის „ინვალიდიდამ“ 2 აგვისტოს.

ურთიერთობითი მდგომარეობა იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც იბრძოდნენ ამ ომში, დიდათ შეიცვალა, იმის გამო რომ ფრანციის მმართებლობამაც წარმოადგინა თავისი მოთხოვნილებანი. როგორც ვიცით ავსტრია პრუსსიის ყოველს თხოვნაზედ თანახმა გახდა; იმან ამ მხრით ბევრი მორჩილება აღმოაჩინა; მაგრამ, როდესაც შეუდგნენ იტალიასთან შერიგებაზედ მოლაპარაკებას, ამ შემთხვევაში კი ავსტრიას ბევრი არ დაუთმია. ერთ დროს ყველას ეგონა, რომ იტალიისა და ავსტრიის შეთანხმება არ არის შესაძლებელი და საქმე იმათში ისევ ხმლით უნდა გადაწყდეს: ავსტრიის მმართებლობამ ისევ უკან დააბრუნა სამხრეთის არმია, რომელიც წინათ ჩრდილოეთისკენ გაისტუმრა პრუსსიელებთან საომრად. ამ შემთხვევაში რა მდგომარეობა უნდა მიელო ბერლინის ტახტსა? თანახმად პირობისა, რომლითაც შემტკიცდნენ ერთმანეთში პრუსსიის კაროლი და ვიქტორ-ემმანუილი, პრუსსია ცალკე არ უნდა შერიგებოდა მტერსა. როგორც ბისმარკის ორგანები (ჟურნალები) ამტკიცებენ პრუსსია ნამდვილათ აღასრულებდა ამ პირობებს, თუ რომ სხვა მხრით არ ასტეხოდა იმას დიდი მუქარა. იქნება პრუსსიას არ შესძლებოდა, რომ იტალიას მოხმარებოდა ტიროლის შეერთებაში, რომელსაც ეს ითხოვდა ავსტრიიდგან, მაგრამ უეჭველია ვენეციის დათმობაში კი ძლიერ ექომაგებოდა და გაუადვილებდა იმ პირობებს, რომლის გამო ავსტრია ითხოვდა ვენეციისთვის იტალიიდგან ფულით სასყიდელს. ამ მდგომარეობაში იყო საქმე, როდესაც ტულერის ტახტმა განაახლა ფრანციის 1814 წლის საზღვრებზედ საქმე. რა კი ამ მხრით დაუწყეს მუქარება პრუსსიას, ის იმავ-წამს აჩქარდა, რომ ავსტრიას შერიგებოდა. იმას უნდოდა, რომ ერთის მხრით მაინც განთავისუფლებულიყო მტრისაგან. პრუსსია მით უფრო საჭიროებდა მალე შერიგებულიყო ავსტრიასთან, რომ იტალია ისევ შეუკავშირდა იმპერატორს ნაპოლეონს, რომელმაც ხელი მოჰკიდა ვენეციას იმ განზრახვით, რომ ფლორენტინის (იტალიის) და ბერლინის ტახტებს შუა კავშირი დაერღვია.

„ერთი ძლიერ ძვირფასი საგანი შეიქმნა ჩვენთვის: ფრანციასთან მეგობრული მდგომარეობა, რომელიც მოგვიპოვა ამ უკანასკნელმა ომმა,—ამბობს ერთი პრუსსიის გაზეთი. „საუბედუროდ ამ გვარი ჩვენი იმედი ძლიერ შეირყა, როდესაც უეცრად პარიჟში მოითხოვეს ტერრიტორიული სასყიდელი, რომელიც ჩვენ უნდა დაგვეთმო ფრანციისათვის. ის წინათ დაეჩვია იტალიისაგან ამისთანა საქმეს და ახლა ჩვენც გადმოგწვდა; ის კი არ იცის, რომ ამ გვარის თხოვნით ის ძალიან შეურაცხებას აძლევს თავისის ღირსებით გაამაყებულს ნაციას (ხალხსა).

ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ რეინის საზღვარზედ მოლაპარაკება არასფრით არ გათავდება; პრუსსია კი ამ ჟამად სრულებით არ გახდება თანახმა ამისთანა თხოვნაზედ. ჩვენ ჯერ არა ვიცით რა თვით იმ მოლაპარაკებაზედ, რომელიც არის ახლა ამ საქმის შესახებ პრუსიასა და ფრანციას შუა.

ზოგიერთი გაზეთები კი გვარწმუნებენ, რომ ახლა მოლაპარაკება აქვთ ლუქსამბურგზედ, რომლის ნაწილიც ვითომც ფრანციას უნდა შეუერთონ, და ფრანციის საზღვრის შესწორებაზედ პფალცთან და მდინარე საართან. ერთის ფრანცუზულის გაზეთის ფიქრით ლუქსამბურგის გარდა ფრანციას მიემატება კიდევ სხვა ადგილები, რომელნიც იმყოფებიან ბელგიის კანტონებში, ფილიპვილში, მარიენბურგში და ბულიონში; ამ მიწების მაგიერად ბელგიამ უნდა მოიპოვოს ღოლლანდიის მიწა, რომელიც არის ლიმბურგში და ჩრდილოეთის ნაწილი ლიუქსამბურგისა. გავასის სააგენტო კი ამბობს პირდაპირ 1814 წლის საზღვარზედ. ამ რიგათ ფრანცია თავის თხოვნაში დაკმაყოფილდება ბელგიის მიწებით; ბელგია კი მიიღებს მთელს ლუქსამბურგის საღერცოგოს ღოლლანდიისგან და ღოლანდია ამის მაგიერად პრუსსიის მიწებით შეივსებს თავის დაკარგულს სამფლობელოს. აგრეთვე ლიმბურგიც განთავისუფლდება გერმანიის კავშირის დამოკიდებულებიდამ; მაგრამ რასაკვირველია ყველა საქმეები ჯერ კიდევ საფიქრებელია და ნამდვილად არაფერი შეიძლება ითქვას ამ საქმეზედ. ერთი ფრანცუზული გაზეთი ამბობს: ამდენს ფიქში მხოლოდ ერთი ეს არისო მართალი, რომ ფრანცია მართლა ითხოვს რაიმე სასყიდელს“. მაგრამ სრულებით წინ დაუხედველობა იქნებოდა ჩვენის მხრით, რომ ახლავე დაგვეწყო ამაზედ ლაპარაკი და დაგვემტკიცებინა, რომ ფრანცია ამ-და-ამ ადგილებით დაკმაყოფილდებაო, მაშინ როდესაც პრუსსია იმას ამ საქმეში ეწინაალმდეგება.

როდესაც ფრანციის პოლიტიკა ამისთანა დაბრკოლებებით არის გარემოცული, გასაკვირვალიარ არის, რომ ამ დროს მეხიკის იმპერატრიცის მოსვლამ დიდი ამბავი არ მოახდინა საზოგადოება ამით დარწმუნდა, რომ მეხიკის საქმე უკანასკნელს გაჭივრებაშია. იმან ამით შეიტყო, რომ იქაურს მმართებლობას არ შეუძლიან გაუმაგრდეს წინაალმდეგს პარტიებს, თუ ფრანცია არ მიეხმარა, მაგრამ ამისთანა იმედი ახლანდელს გარემოებაში სრულებით ამაოა. ერთი ანგლიის გაზეთი ამბობს, რომ იმპერატორი ნაპოლეონი ახლა იმისთანა საქმეშია გართული, რომ მეხიკის საქმე ფიქრშიაც არ მოსდის. არავინ ყურადღებას არ აქცევს ახლა მარშლების ფორეის და ბაზენის გამარჯვებას, რომლითაც იმათ ახალ-ქვეყანაში თავი ისახელეს. თუ მეხიკის იმპერატრიცამ შარლოტამ ვერ შეიძლო იმპერატორის ნაპოლეონის ყურადღების მიქცევა თავის სამშობლოზედ, მაშინ არც არის საფიქრებელი, რომ ის ისევ უკან წავიდეს ატლანტიკის ოკეანის იქით, მეხიკაში, სადაც იმას შეუძლიან მხოლოდ სხვისის შემწეობით დაამყაროს თავისი მმართებლობა.

გერმანია. ავსტრიის „ვენის გაზეთში“ არიან დაბეჭდილნი წინათ-წარმოთქმულნი შერიგების პირობანი, რომელნიც ხელ-მოწერილნი არიან 14 (26) ივლისს, ნიკოლსბურგს. ამ პირობებიდამ გამოვსწერთ უმთავრესს ალაგებს: „მათმა დიდებულებამ ავსტრიის იმპერატორმა და პრუსსიის კაროლმა დანიშნეს თავის მხრით დესპანები, რომ მიანიჭონ თავიანთ ხალხებს მშვიდობიანობა:

„მისმა იმპერატორებითმა და კაროლებითი-მოციქულებითმა დიდებულებამ დანიშნა დესპანებად გრაფი კაიროლი და ბარონი ბრენნერი.

მისმა დიდებულებამ პრუსსიის კაროლმა დანიშნა გრაფი ბისმარკი.

ორივე სახელმწიფოების დესპანებმა დასდეს შემდეგნი პირობანი.

1) „ვენეციის მაზრის გარდა ავსტრიის სახელმწიფოს ტერრიტორია (მიწა-წყალი) დარჩება ხელ-უხებელად.

რაკი შერიგების პირობებზედ ხელს მოაწერს პრუსსიის კაროლი, ის იმავ წამს ავსტრიის მიწებიდგან თავის ჯარს გაიყვანს....“

2) „ავსტრიის იმპერატორი აღიარებს გერმანიის კავშირის დარღვევას იმ სახით, როგორც ის აქამომდე არსებდა და თანახმაა ახალის კავშირის დაარსებაზედ, რომელშიაც ავსტრია აღარ იქნება. მისი დიდებულება აღიარებს, რომ პრუსსიის კაროლმა უნდა დააფუძნოს უფრო მჭიდრო ურთიერთობითი დამოკიდებულება იმ ხაზის ჩრდილოეთ, რომელიც გაივლის მაინზედ. ის აგრეთვე თანახმა არის, რომ გერმანიის სამხრეთ-სახელმწიფოებმა დაარსონ ცალკე კავშირი და შემდგომად იმათზედ იქნება დამოკიდებული, შეუერთდებიან თუ არა ჩრდილოეთის კავშირსა.

მისი დიდებულება ავსტრიის იმპერატორი მოვალეა, რომ თანახმა გახდეს ყოველს პრუსსიის განკარგულებაზედ, რომელსაც თვით პრუსსია საჭიროდ შერაცხავს ჩრდილოეთ-გერმანიის კავშირში.

6) თავის მხრით პრუსსიის კაროლი თანამდებია, რომ თავის მოკავშირე იტალიის კაროლი დაათანხმოს შერიგებაზედ, რაკი ფრანცუზების იმპერატორი გადასცემს ვენეციის მაზრას იტალიის საკაროლოსა.

9) რატიფიკაცია (დამტკიცება) ამა მორიგებისა უნდა მოხდეს ნიკოლსბურგში.

„მისი დიდებულება ავსტრიის იმპერატორი და მისი დიდებულება პრუსსიის კაროლი დანიშნავენ თავ-თავის მხრით დესპანებს, რა კი რომ წინათ-დაწესებულს შერიგების პირობაებს დაამტკიცებენ ავსტრიის იმპერატორი და პრუსსიის კაროლი. შემდეგ ამისა იმათგან დანიშნულნი დესპანები აღრჩეულს ალაგზე შეიყრებიან შერიგების მოსახდენათ და სხვა კერძო-საქმების დაბოლოვებით გადასაწყვეტლად.

9) „როდესაც ახლანდელს სამშვიდობო წინადადებებს მიიღებენ, მაშინ ორნივე ხელმწიფენი ნამდვილს შერიგებას მოახდენენ ერთიერმანეთში..........

„მოკლეს-ხნით შერიგება 2 აგვისტოდამ (21 ივლისიდამ) დაიწყება და ახლანდელი შეჩერება ომიანობისა გაგრძელდება ამ ჟამამდის.

„იმავე დროს ბავარიასთანაც უნდა მოხდეს მოკლეს-ხნით შერიგება. ღენერალს მანტეიფელს უნდა მიენდოს ეს შერიგება, რომელიც აგრეთვე 2 აგვისტოდამ ახალის სტილით დაიწყება. თუ დიდი საღერცოგო ბადენისა, საკაროლო ვირტენბერგისა და დიდი საღერცოგო ღესსენ-დარმშტადტისა ისურვებენ, მაშინ იმათაც შეურიგდებიან.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

ვენა, 26 ივლისს (10 აგვისტოს). ღღეს ტრიესტში მიიღეს შემდეგი ამბავი ლევანტის

ურქეთით. ათინიდამ გვაცნობებენ, რომ ოსმალოს მაზრებში, სადაც ბერძნები სახლობენ, ძლიერ ჩივიან ქრისტიანობის შევიწროვებაზედ; განსაკუთრებით კრიტის კუნძულიდამ ისმის ცხარი მწუხარება. ოსმალო აგროვებს თავის ჯარებს საბერძნეთის საზღვრებზედ. 4 აგვისტოს კოსტანტინოპოლიდამ გვაცნობებენ, რომ ჩერნოგორის დესპანები დიდი პატივისცემით მიიღო ალი-ფაშამ და გამოუცხადა იმათ, რომ ჩერნოგორიას მ ცოტას ხანში თვით სულთანი დაუმტკიცებს თავის მეგობრობას.

**ბერლინი**, 28 ივლისს (9-ს აგვისტოს). შესაძლებელია, რომ პრუსსიის პალატამ ხელახლა აღმოირჩიოს უწინდელი დეპუტატი უ. ბრაბოვი; მაგრამ ეს უკანასკნელი არ დასთანხმდება ამ ამორჩევაზედ.

მემკვიდრე პრინცს უნდა დააფუძნოს სანაციონალო დაწესებულება ინვალიდებისთვის (ჯარში დაჭრილებისთვის). ამისგამო საზოგადოებას მოუწოდეს.

როგორც სჩანს ბისმარკს მიანდობენ იმ მიწების მართვას, რომლებიც ახლა პრუსსიას შემატებიან.

**ლონდონი**, 29 ივლისს (10 აგვისტოს). დიდის ბრიტანიის კაროლევა ვიკტორია, პარლამენტის ყრილობის დროებით შეწყვეტის გამო, ტრონით სიტყვაში აცხადებს კმაყოფილებას, რომ ურთიერთობითი დამოკიდებულება დიდის ბრიტანიისა ყველა უცხო სახემწიფოებთან ძალიან მეგობრულია. უკანასკნელის ომის შესახებ კაროლევა ამბობს, რომ არც გვირგვინის პატიოსნება, და არცა ხალხის ინტერესი არ მოითხოვდნენ, რომ ჩვენ ომში გავრეოდით. კაროლევა იმედეულობს, რომ მებრძოლნი სახელმწიფონი თავიანთ მოლაპარაკებაში შეთანხმდებიან და ეს შეთანხმება შეიქმნება მტკიცე მშვიდობიანობის საფუძვლად. კაროლევა აღიარებს, რომ ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გულ-წრფელათ და პატივის-ცემით დაიცვეს ხალხის ურთიერთობითი სიმართლე იმ დროს, როდესაც ფენიელებმა განიზრახეს კანადაში შესევა. ვაჭრობის მდგომარეობა გამტკიცდა და ხალხის კეთილ-მდგომარეობა არის აღყვავებული. კაროლევა გამოაცხადებს იმედს, რომ ფულით ნდობა ვაჭრობაში ისევ მალე გამყარდება. ის მიულოცავს მხარეს ატლანტიკის ტელეგრაფის წარმატებას, რომლის დანიშნულებაც იმყოფება იმაში, რომ ანგლიისა და შერთებულის შტატების შორის მეგობრულს ურთიერთობას წარუმართავს.

— 30 ივლისს (11 აგვისტოს). ქვემო პალატაში ბენიერმა ჩამოაგდო კითხვა, მიღებულია თუ არა მმართებლობისაგან რაიმე ცნობა იმ თხოვნაზედ, რომელნიც გამოაცხადა იმპერატორმა ნაპოლეონმა რეინის პროვინციების შესახებ. ლორდმა სტენლიმ უპასუხა: „მმართებლობამ მიიღო ცნობა იმ მოლაპარაკებაზე, რომელიც არის აღძრული ამ საგანზე პარიჟისა და ბერლინის შუა, მაგრამ ჯერ კიდევ არა შემიძლიან რა გაცნობოთ და მით უფრო არა მაქვს ღონის-ძიება საფუძვლიანად გითხრათ საგანი ამ მოლაპარაკებისა დაან თუ რა პასუხს წარადგენს პრუსსია თავის მხრით.

**ბერლინი**, 31 ივლისს (12 აგვისტოს). აქ მოელიან ფრანციის ელჩს უ. ბენედეტს, რომელმაც უნდა მოიტანოს იმპერატორის ნაპოლეონის პასუხი გრაფის ბისმარკის უარზედ მიწების დათმობის შესახებ.

ამბობენ, რომ ჯარის დამატებითი მოკრეფაზედ გამოცემული განკარგულება გუშინდელს რიცხვიდამ ისევ შესცვალესო.

აქ ყველას სჯერა, რომ ნაპოლეონს კონგრესის შეყრა უნდა და არა ჩხუბი.

**ფლორენცია**, 1 (13) აგვისტოს. პადუიდამ იგზავნება ვენაში ყველა საომარი იარაღები და ნივთები.

ავსტრიის იმპერატორმა უბძანა გაანთავისუფლონ იტალიელნი პოლიტიკურნი დამნაშავენი, რომელნიც იყვნენ დატუსაღებულნი ავსტრიის ქალაქებში; ისინი იტალიაში უნდა გაიგზავნონ. გარდა ამისა დაითხოვეს სამსახურიდამ ყველა იტალიელები, რომელნიც მსახურებდნენ ავსტრიის პოლიციაში.

ფიქრობენ, რომ ვენეცია მალე დანებდება იტალიელებს.

ღენერალი მენაბრეა წავიდა პარიჟში, და იქიდამ გაემგზავრება გერმანიას.

**ბერლინი**, 1 (13) აგვისტოს. აქაურს „საბირჟო გაზეთში" სწერენ, რომ პრუსსიის მმართებლობა აპირებს მოსთხოვოს პალატას, რომ იმან დაამტკიცოს ოთხ-პროცენტიანი სესხი 20 მილლიონის ტალერისა.

**პარიჟი**, 1 (13) აგვისტოს. გაზეთი Constitutionnel ამტყუნებს იმ ამბავს, რომელიც სხვა ფრანციის გაზეთებმა გაავრცელეს და რომელიც შეეხება ფრანციის დაჯილდოვებას. ეს გაზეთი სწერს, რომ ჯერ არ გადაწყვეტილა, თუ რა დაჯილდოვება მიეცემა ფრანციას. ის რასაც ფრანცია ითხოვს, არ ეწინააღმდეგება მეგობრულს კავშირს, რომელიც არსებობს პრუსსიასა და ფრანციას შორის. ფრანციის ინტერესი იმაში არა მდგომარეობს, რომ მიწები შეიმატოს არამედ, იმაში, რომ მოეხმაროს გერმანიას. ამ ჟამად გერმანიაში დიდი ცვლილება უნდა მოხდეს. ახლა იმან უნდა მიიღოს იმ გვარი აგებულება, რომელიც იქნება სასარგებლო როგორც იმისთვის, ისე მთელი ევროპისთვისაც.

**პარიჟი**, 1 (13) აგვისტოს. „საღამოს მონიტორში" ამტყუნებენ ერთს სტატიას, რომელიც იყო დაბეჭდილი გაზეთში Times რომელიც აცხადებდა, რომ ფრანცია ემზადებაო საომრათ, რადგანაც ფრანციის მმართებლობამ ცხენები და გვარჯილა იყიდაო. ამისთვის „საღამოს მონიტორი" სწერს, რომ ამ უკანასკნელის ომიანობის დროს ფრანციაში სხვა სახელმწიფოებმა იყიდეს 20 ათასი ცხენი და ამისგამო მმართებლობა რამდენისამე თვის წინათ შეუდგა ცხენების ყიდვას, რომ ამ მხრით ნაკლულევანება არ აღმოჩენილიყო. წამალი ფრანციაში საკმაოთ არის, ისე რომ არ საჭიროებს გვარჯილას. ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ნაპოლეონს მშვიდობიანობის დამყარება ჰსურს ევროპაში. ამას გვიმტკიცებს იმისი დეკრეტი, გამოცემული 29 ივლისს (10 აგვისტოს). ამ დეკრეტის ძალით სალდათები, 1859 წლის რიგისანი, დაითხოვებიან თავიანთს სახლებში. მარშლის მაკ-მაღონის შესახებ ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ის მოვიდა პარიჟში თავისი საკუთარის საქმეების გასარიგებლათ და ჯერეც არ წარსდგენია ნაპოლეონს.

ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი**, 9 აგვისტოს. ავსტრიასა და ბავარიასთან შერიგებაზედ ხელი მოაწერეს. საქსონიის კაროლმა ბეისტი სამსახურიდამ დაითხოვა. პრინცესსას დაგმარას სეკტემბერში მოელიან პეტერბურგს.

---

## სალიტერატურო ნაწილი.

## პარიჟი ამერიკაში.

### თ ა ვ ი V.

### უ მ ზ ი თ ვ ო თ.

მე „Paris Télègraphe"-ის კითხვა დავიწყე, რომელიც არის დიდი და იაფი გაზეთი. ამ გაზეთის მკვახე ლაპარაკი და უკმეხი სიტყვები მე არ მეკაშნიკა.—მადლობა ღმერთს, ვსთქვი ჩემს გულში, რომ ჩვენ უკეთესად ავუზრდივართ. ჩვენ მიგვიღია ევროპული განათლება და ამისგამო კარგათ ვაფასებთ მშვენიერების ღირსებას. ჩვენ ისე ვერ დავამცირებთ ჩვენს თავს, რომ კატას კატა დაუძახოთ და როლლეს—ტყულაჰამია. აბა ვინ მოიფიქრებდა, რომ „Paris Télégraphe" ისე შეურაცხ-ჰყოფდა ერთს პატიოსანს მილლიონერს. მაგრამ შეურაცხ-ჰყოფა არაფერია. ეს გაზეთი იმას ქურდს, ავაზაკს და კაცისმკვლელს ეძახის. რისთვის და რათ? იმისთვის, რომ ამ მილლიონერმა შეამზადა ჩრდილოეთელების არმიისთვის 60 ათასი წაღა სიფრიფანა ძირებით, რომლებიც ჯარში სრულებით უვარგისნი იყვნენ. აბა ერთი მითხარით, რას უნდა მოჰკიდოს კაცმა ხელი, რა გააკეთოს, როცა აქ მოგება და გამორჩენა დიდი დასაძრახია!?

მთელს ჟურნალს ერთი მიმართულება ჰქონდა და ერთი კილოთი ლაპარაკობდა. არა საგანი არ გადაურჩა ამ მეგაზეთეს და მწერალს, რომ არ გაეკიცხა. ის ჰგმობდა და შეურაცხჰყოფდა იმისთანა საგნებს, რომლებსაც კაცი არ უნდა შეეხოს. რას არ ნახავს კაცი ამ გაზეთში?! ერთს უწოდებენ ჯეფერისს და ლაბარდემონს, იმისთვის რომ იმან მახეში გააბა ერთი ავაზაკი; მეორეს ვერრეს, ანუ უგუნურს ეძახიან, რადგანაც ის აძლევდა აქციონერებს სხვა და სხვა მონოპოლიას, რომელიც ყველასთვის სასარგებლოა. მოდი და შენ იცხოვრე ამისთანა ხალხთან, მოდი და შენ მოურიგდი ამათ!! რა გულმა უნდა აიტანოს ეგოდენი გაუპატიურება, ეგოდენი თავის დამცირება!!

ამ დროს ჩემმა ცოლმა და მართამ საუზმე მოამზადეს.

— რატომ არ დანაყრდებით? ვკითხე მე ჩემს ცოლს და მინდოდა ჩქარა თავი დამეხსნა ჩემის ფიქრებისთვის, რომლითაც ვიყავ გარემოცული და აღელვებული. სად არიან ჩემი ვაჟი და ქალი? რატომ ძირს არ ჩამოვლენ?

— ისინი სხვაგან წავიდნენ, ჩემო მეგობარო, მაგრამ ისევ ჩქარა მოვლენ. ღენრიხი დღეს პირველათ წარმოსთქვამს სიტყვას ახალგაზდა ლექტორების აკადემიაში. ის წავიდა იქ, რომ წინათვე მოემზადოს სიტყვის სათქმელათ.

— რაზედ უნდა ილაპარაკოს თავის სიტყვაში ჩვენმა 16 წლის ციცერონმა?

— აი იმისი სიტყვის საგანი, სთქვა ჟენნიმ დედობრივის სიამპარტავნით და თავ-მოწონებით და მომცა მე დაწერილი ქაღალდი, რომელიც აჭრელებული იყო წაშლილის და ჩაწერილის სიტყვებით და სხვა და სხვა ნიშნებით. სიტყვის თავზედ მსხვილ ასოებით ეწერა:

„ზნეობითი აღზრდა ქალებისა, როგორც კაციობრიობის გამანათლებელისა"

მომითმინე, მომითმინე! მეტის-მეტი კეთილით და სათნოებით ქვეყანა წაირღვნება და დაიღუპება, წამოვიძახე მე. ჩვენცა ვყოფილვართ 16 წლისა, მაგრამ ზნეობაზედ კი სრულებით არ გვიფიქრნია.

— ჩემო მეგობარო, მითხრა მე ჟენნიმ. რასწამ იმისი ხმა გავიგონე მე უცბათ ლაპარაკი შევწყვიტე და ცოტათი კიდეც გავწითლდი.

— ჩემო მეგობარო, განაგრძო ჩემმა ცოლმა, რომელმაც ვერ შენიშნა ჩემი შეშფოთება, ჩემო მეგობარო, მგონია, რომ ჩვენი ღენრიხის ცხოვრება ჩქარა გამოიცვლება. ახლა იმასა ჰსურს სხვა თავისუფალი გზა ამოირჩიოს. ღენრიხი თითქმის ყოველ დღე იმეორებს, რომ ის ჩვენი ტვირთია და თავს აბეზრებს თავის ამზრდელს, რომელიც იმას ინახავს და ზრუნავს იმაზედ.

— ვინ არის ეს აღმზრდელი?

— შენ განა არ იცი, რომ ჩვენი შვილები თავის მამებს ასე ეძახიან. ერთი სიტყვით, ღენრიხს სწადიან, რომ თავისუფალს შრომას მიჰყოს ხელი და იპოვოს რამე თავისთვის საქმე.

— რა გაჩქარებს! ნუ ხარ გულსწრაფი, ვუთხარი მე ჩემს ცოლს. ჯერ კიდევ ბევრი დროა მანამდისინ. ეგ ჩემი საქმეა და მე ვიცი, როგორც კარგა წავმართავ მაგ საქმეს.

— ჩემო მეგობარო, ჩვენი ვაჟი ახლა 16 წლისაა. იმისმა ამხანაგებმა დიდიხანია მოიპოვეს დამოუკიდებული მდგომარეობა საზოგადოებაში. ყველანი მხურვალედ და დიდის სიყვარულით მიეცნენ შრომას. ჩვენმა შვილმაც უნდა მოძებნოს თავისი გზა, იმან უნდა ამოირჩიოს ის, რაც სწადს, რაც უყვარს და რასშიაც ჰპოვებს ის კმაყოფილებას და სიამოვნებას. მოილაპარაკე იმასთან ამაზედ, ის არ დაგიმალავს შენ თავის გულის-პასუხს, რადგანაც იმას შენზედ დიდი რწმუნება აქვს, და შენ უკეთესი იმისი ხელმძღვანელი ხარ!

— მე დავიწყე ოთახში სიარული. ამ დროს ჩემი ცოლი იყურებოდა ფანჯრიდამ და მოელოდებოდა შვილებს.

– დიახ, ჩემო შვილო, ვფიქრობდი მე, მხოლოდ ერთი ჩემი ვალია დაგაყენო შენ თავის გზაზედ. მე დიდი ხანია ვცდილობ, რომ შენი საქმე ხერხიანათ მოვიყვანო. დიდი ხანია მე დაგინიშნე შენ სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა. შენ, ვინ იცის, არც კი იცი, რომ კანდიდატი ხარ საფინანსო მინისტრის თანამდებობაზედ. ორი წლის უკან შენ ბაკალავრი შეიქნები და მესამე წელიწადს, თუ საქმეში კარგათ დახელოვნდები და თუ ამასთან ძლიერი შემწენიც გეყოლება, tu Marcellus eris! მე წინასწარ გული მითხრობს, რომ შენ 35 წლისა განყოფილების უფროსის თანაშემწეთ შეიქნები, ჯამაგირი მოგეცემა 2,400 ფრანკი და ამასთან გექნება მრავალი ორდენები. მე ვხედავ, რომ მომავალში შენ შეიქნები მშვიდი, წყნარი, დაკრძალული დაპატიოსნად მქცეველი შენს უფროსებთან, მაგრამ ფიცხი, სასტიკი და განძვინებული შენს ქვეშევრდომებთან. მე გჭვრეტ შენ, რომ სწრაფად მიიღებ ამაღლებას და ახვალ მაღლა და მაღლა იერარხიის ხარისხებზედ, და შენც ისე ნაირად მიისწრაფი ზევით და ზევით, მინამ არ მიიღებდე დიდს და მაღალს ხარისხებს. აი რა მომავალი გაიშლება ჩემის თვალის წინ! აი რითი დაგვირგვინდება ჩემი შვილის მრავალი ღვაწლი! ოხ, რა სანატრელი დროა! ნეტავი იმ დროს!

— აი, ღენრიხიც მოდის, მითხრა მე ცოლმა, რომელიც ფანჯარას არ მოსცილებია. ის ელაპარაკება მისტერ ბრინს. მე დარწმუ-

წებული ვარ, რომ ჩვენი შვილი იმას რჩევას სთხოვს.

— რა სთქვი შენ ეხლა? ვინ ბრინია, რომელსაც ჩემი შვილი ელაპარაკება? განა ღენრიხი თავს უყადრებს გლეხებს და დაბალს ხალხს?

—როგორ თუ გლეხი, როგორ თუ დაბალი ხალხი? წამოიძახა ჩემმა ცოლმა დიდათ გაოცებულმა ჩემის სიტყვებით. დაბალი და მაღალი რას გაურჩევია? ჩვენ ყველანი ერთნი ვართ. მისტერი ბრინი პატიოსანი კაცია, და ყველასგან პატივცემული. იმას კარგა დიდი ფული აქვს, რომელიც შეუძინებია თავისის შრომით.

აშენდა ქვეყანა, წამოვიძახე მე! ბედნიერია ქვეყანა, სადაც ვილაცა უბრალო მებაყლეები მილლიონერები ხდებიან და რჩევას აძლევენ სხვებს, თითქო ადვოკატები (მოსარჩლენი) იყვნენ. და, ჩემმა შვილმა მოსთხოვოს რჩევა თაფლისა და ქლიავის გამსყიდავს. დამიძახეთ სუსანნას. ჩემის სუსანნასთვის, რასაკვირველია, საჭირო არ იქნება მისტერის ბრინის რჩევა.

—სუსანნა ახლა ანატომიის და გიგიენის კლასშია

— როგორ თუ ანატომიისა? ჩემი ქალი, 19 წლის ქალი, ანატომიასა სწავლობს? ვაი თუ ის მკვდარ კაცებსაც სჭრის?

— მგ რა არის შენს თავს, ჩემო მეგობარო, მითხრა მე ჩემმა ცოლმა ისეთის საკვირველი მშვიდობიანის გულით, რომ მე ცოტა არ არის ჩემი ჯეროვანი ჭკუა და გონება მომიბრუნდა.—სუსანნას ხომ როდისმე შვილები ეყოლება. ახლა როგორ გინდა შენ, რომ ისენი აღზარდოს? ალალბედზედ შვილების აღზდა ხომ არ შეიძლება. იმან უთუოდ უნდა იცოდეს ადამიანის ტანის აგებულება, იმან უნდა იცოდეს, თუ როგორ აზარდოს თავისი პაწაწა, უსუსური ბაშვები. თუ იმას ესენი კარგათ ეცოდინება, ხომ კარგათაც მოუვლის თავის შვილებს; თუ არ იცის და ვინ იცის, რაოდენი ბოროტება წამოსდგება აქედგან! ვინ იცის რამდენჯერ შესცდება, ვინ იცის რამდენს ვნებას მისცემს თავის ბაშვს, მინამ ის გამოცდებოდეს ამ საქმეში! თითონ შენ ბევრჯელ გითქვამს შენის ქალისთვის, რომ კაცის სხეულის აგებულების ცოდნა ყველასთვის საჭიროაო და ქალისთვის მეტადრე უფრო გამოსაყნია ყმაწვილების აღზრდაში.

—ვინ არის ის ბრძენი დოქტორი, რომელიც ასწავლის ახალგაზდა ქალებს ანატომიას?

— ეს არის მისტრის გოპი, ერთი ჩვენთაგანი შესანიშნავი დოქტორი.

— ქალი და დოქტორი! სად გაგონილა, თქვენი ჭირიმეთ!? მოლიერო! სადა ხარ? დასწყევლოს ღმერთმა! აქ ქვეყანა უკუღმართად არის აშენებული! როგორ თუ ამ უკუღმართ ქვეყანაში კაცები არა სწამლობენ ჩვენს დედებს, ცოლებს და ქალებს? იქნება აქ აკუშერებათაც (მსწავლულ ბებიებათ) ქალები არიან? აბა მითხარი, ეს სად ნახულა და ან ვის გაუგონია? ეს არ შეჰფერით ქალებს, სრულებით არ შეჰფერით.

—მე, ჩემო მეგობარო, სულ სხვა აზრისა ვარ. მაგრამ შენ ჩემზედ უფრო ნასწავლი ხარ. მე ერთს კითხვას მოგცემ და შენ უნდა მიპასუხო: შენი ქალი რომ გახდეს ავათ იმგვარის სატკივარით, რომელსაც ყველა ქალი, თავის მორცხობის გამო, ძვირათ ეტყვის სხვას, ვის მოიწვევდი შენ დოქტორს!

— არა. შენ, ჩემო მეგობარო, კარგა ვერ გაიგე, რაც მე გითხარი. მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ საზოგადოებაში იპოვებიან ზოგიერთა ძველი ჩვეულებანი, რომლებიც ისე პატივცემულნი არიან, როგორც ძველებურნი ცრუ-რწმუნებანი. მაგრამ არა. ამას თავი დავანებოთ. ამაზედ ჩვენ სხვა დროს მოვილაპარაკოთ. შენ მართო ეს მითხარ: ვინ გააცილებს ხოლმე სუსანნას ანატომიის ლექციებზედ?

—არავინ.

—როგორ თუ არა ვინ!? ჩემი ქალი 19 წლისა, ლამაზი, როგორც ანგელოზი, გარბის ქუჩებში ერთად-ერთი და თვალ-ყურის-მგდებელი არავინა ჰყავს!?

—აბა ერთი მითხარი: რა დაუშლის ჩვენს ქალს, რომ იმან მისდიოს სხვა თავის ამხანაგების მაგალითს?? რა შიში აქვს იმას? რა განსაცდელისა უნდა ეშინოდეს? განა შეიძლება კაცს მოუვიდეს თავში ის აზრი, რომ ამერიკაში იპოვებოდეს ერთი ისეთი ბოროტი და უგუნური კაცი, რომელმაც არ მიაგოს ჯეროვანი პატივის-ცემა ახალ-გაზდობას და სიწრფელეს. მამები, დედები, ძმები —ერთი სიტყვით—ყველანი, მთელი ხალხი ალსდგებოდა იმ კაცის წინაალმდეგ, რომელიც ასე გაკადნიერდებოდა და გაუპატიურებდა ვისმე. მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ქვეყანაში ამ გვარი ბიწიერება არ იპოება. ამ გვარი ბიწიერება მოჰკითხეთ ძველს ქვეყანას (ევროპას). იქ ბლობათ მოიპოვება ეს.

—მაგრამ მე მგონია, დაუმატა ჩემმა ცოლმა მშვიდობიანის ღიმილით, რომ სუსანნას ეხლა გაფთხილება აღარ უნდოდეს. ის საკმაოთ არის გარეშემოზღუდული. უ. როზის უნცროსი შვილი ალფრედი დაბრუნდა ინდოეთიდამ. მე ვნახე, რომ ის გუშინ დასეირნობდა თავის მამასთან და თავის რვა ძმასთან. დარწმუნებული ვარ, რომ იმასა და სუსანნას მიუციათ კიდეც ერთი ერთმანეთისთვის ცოლქმრობის პირობა.

—ცოლ-ქმრობის პირობა მიუციათ? როგორთუ ჩემმა ქალმა შეიყვარა ვიღაცა მეაფთექეს მეცხრე შვილი? მერე შეხედეთ, როგორის გულის-სიმშვიდით მიამბობს ამას დედა!..

—აბა ერთი მითხარი, რა დაუშლის ჩვენს სუსანნას შეირთოს ის, ვინც იმას უყვარს? მიპასუხა მე ჟენნიმ და გამიშტერა თავისი მშვენიერი ლურჯი თვალები. ჩემო მეგობარო, ეგ რა გიკვირს? განა მეც ესე არ მოვიქეც? ხომ არც მე მინანია და არც შენ?

—მაგას თავი დავანებოთ. შენ ეს მითხარი: რა საქმეშია ის ყმაწვილი-კაცი და ან რა შეძლება აქვს?

—მაგისთვის შენ სრულებით ნუ სწუხარ, ჩემო მეგობარო. ალფრედი პატიოსანი ყმაწვილი კაცია. ის არ შეირთავს სუსანნას, თუ იმის შენახვა არ შეეძლოს. სუსანნა, თუ საჭირო იქნება, ათს წელიწადსაც მოიცდის.

—მზითევი? მზითევზედ რაღასა ჰფიქრობ? იცი, რას მოგთხოვს მზითვათ ის ახალ-გაზდა ყმაწვილი-კაცი? ამასთან იცი თუ არა ისიც, რომ მთელი შენი ნახევარი ცხოვრება ქალს უნდა გაატანო?

—მე შენი ლაპარაკისა ვერა გამიგიარა, მითხრა ჩემმა ცოლმა. განა ჩვენ შვილსა ვყიდით? განა ქრთამს მისცემენ ყმაწვილს-კაცს, რომელსაც შეუყვარებია იმისთანა ქალი, რომელიც შემკობილია კარგის ზნეობით და სიმშვენიერით? განა ყმაწვილი-კაცი დაჯილდოების ღირსია იმისთვის, რომ იმასა ჰსურს თავის საყვარელს ქალზედ ჯვარის-დაწერა? ვინ ჩაგიდვა შენ თავში მაგისთანა აზრები, რომლებიც მე ჩემს დღეში არ გამეგონა.

—უმზითვოთ ქალის გათხოვება! მერე სად? რა ქვეყანაში? იქ, სადაც ყველანი ერთობ დილიდამ საღამომდე თაყვანს-ცემენ დოლლარს ანუ ფულს!!..........

—ამერიკაში, ჩემო მეგობარო, მითხრა მე ჟენნიმ, ქალსა და კაცს უყვართ ერთმანეთი, ადამიანურათ უყვართ. სიყვარულსა და სიყვარულს შუა დიდი გარჩევაა. ქორწილდებიან იმისთვის, რომ ერთმანეთი უყვართ და ამისგამოც მთელს თავის სიცოცხლეში ბედნიერნი არიან. ისენი ყოველთვის იმასა ფიქრობენ, რომ იმათი შეუღლება სიყვარულით მოხდა. პირველად სიყვარულია და მერე ცოლქმრობა. სადაც ამის წინაალმდეგ იქცევიან, იქ ცოლ-ქმარნი ბედნიერნი არ არიან და ერთი ერთმანეთს კბილითა ჰგლეჯენ. ჩვენში ქალის მზითევი იმისი გულია. მე დარწმუნებული ვარ, რომ იმისთანა თავისუფალს ახალ-გაზდა და სულგრძელს ხალხს, როგორც ჩვენა ვართ, არაოდეს სხვა მზითევი არ ექნება. სიყვარული და კეთილი გული—აი ჩვენი საუნჯე!!

უმზითვოთ ცოლის შერთვა! უმზითვოთ! ვფიქრობდი მე. მაშ ამას იქით ჯვარის წერა აფერა აღარ იქნება. მდიდარია თუ ღარიბი ქალი, ის მაინც დარწმუნებულია, რომ ის საყვარელია; იმან იცის, რომ ჯვარს-დაიწერენ იმაზედ იმის სიყვარულის გულისთვის და არა ფულისთვის და გამდიდრებისთვის. როცა მამა ქალს ათხოვებს, იმას საშიში აღარა აქვს, რომ ის ქალს აძლევს იმისთანა კაცს, რომელსაც ცოლ-შვილზედ მომეტებულათ ფულები და მზითევი უყვარს. უმზითვოთ! დიახ, ბევრჯელ მოხდება, რომ ბარბაროსულს ხალხს ჰქონდეს იმ გვარი ჩვეულებანი, რომლითაც ვერ დაიკვეხებს ჩვენი ცივილიზაცია და რომელსაც შეუძლიან უფრო მეტად განაშვენოს და გაამჯობესოს ეს ცივილიზაცია!

—აი სუსანნაც მოდის, წამოიძახა სიხარულით ჩემმა ცოლმა. ალფრედიც თან მოზდევს. მე ეს წინათვე როგორღაც ვიგრძენ.

—მე ერთ წამს კარებს მივარდი. ჩემი ქალი, ჩემი ძვირფასი სუსანნა, იყო უმშვენიერესი, მინამ მე როდისმე ის მინახავს. იმას რაღაცა ახალს სიმშვენიერეს და სილამაზეს აძლევდა იმისი მოთეთრო თმა, რომელიც დახუჭუჭებული მხრებზედ ჰქონდა გადაშლილი, იმისი წრფელი და უმანკო შეხედულება და იმისი თავისებური ტარება. ის უმანკოა, როგორც ნორჩი ყმაწვილი. იმან რასწამ თვალი მომკრა მე, მაშინვე ელვასავით გამოექანა ჩემკენ და გადამეხვია. მე აღტაცებით მივიკარი ის გულზედ და შევიტაცე პურის საჭმელ ოთახში. ამ დროს შევნიშნე, რომ ის მარტო ერთი არ იყო. იმასთან იყო ის, რომელსაც უნდა წაერთვა ჩემთვის ჩემი ნუგეში და ჩემი ბედნიერება! სუსანნამ მოჰკიდა იმას ხელი, წამომიდგინა მე და თანაც დაატანა ეს სიტყვები·

—ეს არის მისტერი ალფრედი როზი, საყვარელო მამა! თქვენ ვერ გიცვნიათ თუ?

—მე ძალიან კარგათ ვიცანი, ვინც იყო ის. მე ამოვიოხრე და ჩამოვართვი ხელი ჩემს სასიძოს, რომელმაც ამომირჩივა მე თავის სიმამრათ და არც კი დამეკითხა წინათვე. უმზითვოთ შეირთე ცოლიო! ამ სიტყვების ძალით იმანაც აირჩია საცოლოთ იმისთანა ქალი, რომელიც უყვარდა და მოსწონდა. მოდი და შენ ელაპარაკე ამისთანა მხეცებს, თუ რა შესაფერია კაცისთვის და რა არა. რას გააწყობ ამათთან; პირდაპირ სიტყვას არ დაგარიდებენ.

## სხვა და სხვა ამბავი.

ციებ-ცხელების წარმოდგომა. დიდი ხანი არ არის, რაც ერთმა დოქტორმა აღმოაჩინა ერთი შესანიშნავი ცნობა. იმან გამოიკვლია, რომ ციებ-ცხელება წარმოსდგება ერთ-გვარის მცენარისაგან, რომელიც ისე პატარა არის, რომ თვალით არ დაინახება, თუ არ მიკროსკოპში. (*) ეს მცენარე იპოება ყოველგან, სადაც ამომშრალა მყრალი და დაყენებული წყალი. ამ მცენარის თესლი გაიფანტება ჰაერში, როდესაც დადგებიან ჯანღიანი ღამეები. ის ჰაერიდგან ჩადის სუნთქვით ფილტვებში და ამ გვარად დაბადებს სხეულში ციებ-ცხელებას. ეს პატარა მცენარეები როგორათაც ხაშმი, ისე მოქმედებენ კაცის ტანში. იმათგან წარმოსდგება ცუდი ჰავა, ესე იგი ხაშმიანი ჰაერი. ამის დასამტკიცებლად დაუდგამთ დიდის კოლოფებით მიწა შერეული ამ პატარა მცენარეებითა იმისთანა ადგილს, სადაც კარგი და მრთელი ჰაერი ყოფილა და სადაც ციებ-ცხელება არაოდეს არ შეუნიშნავთ.

ორის კვირის შემდეგ ამ ალაგებზედ ძალიან ცხადათ აღმოჩენილა ციებ-ცხელების მცენარეების თესლი, მზგავსი მტვერისა, მხოლოდ ღამით ადის ხოლმე ჰაერში და ცამეტ საჟენზედ მაღლა აღარ აისწევს. აი ამითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ყოველთვის ღამის ჰაერია დამხაშმავი და იმ ადგილებზედ, რომელნიც ცამეტ საჟენზედ მაღლა მდებარებენ, ციებ-ცხელება არ არის. რაკი ეს ციებ-ცხელების გამჩენი თესლი ჩავა კაცის სხეულში, მაშინვე ის იქ მრავალდება და კაცი იგრძნობს ხოლმე თავის ტანში ამ ავათმყოფობის ნიშანსა.

## კერძოობითი განცხადება.

მუშტაიდის გზაზედ დაიკარგა ალბომი, რომელშიაც სხვა ნახატებს შორის არის პაპის სახე. ვინც ამ ალბომს იპოვის, ვთხოვთ წარმოადგინოს რედაქციის კანტორაში, სადაც ის მიიღებს იმისთვის ჯეროვანს ჯილდოს.

ბერენშტამის საწიგნო მაგაზინში ტფილისში ისყიდება მეორე შინა-სესხის ხუთ პროცენტიანი ბილეთები მოგებით. უმთავრესი მოგება შეიცავს 200 ათასს მანეთსა, უმცირესი კი 500 მანეთსა. (ტირაჟი) ლატარია უნდა მოხდეს 1866 წელს 1-ლს სეკტემბერს. სხვა ქალაქების მცხოვრებლებს თუ უნდათ ბილეთის ყიდვა, იმათ უნდა გამოგზავნონ ბილეთის ფასი 116 მანეთი.

(*) მიკროსკოპი არის იმისთანა იარაღი, რომელშიაც ყოველი მცირე საგანი ძალიან დიდათ გამოჩნდება ხოლმე.

## ბიბლიოგრაფიული ცნობა.

დაიბეჭდა და გამოვიდა:

# სახელმძღვანელო

რუსულის ენის სასწავლებლად ქართველ ახალ მოსწავლე ყმაწვილებისათვის.

შედგენილი გ. ქ—შვილის მიერ.

ფასი 1 მანეთი და 25 კაპ.

ისყიდება: ტფილისში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში; სემენარიაში, უფ. იაკობ გოგებაშვილისას. ქუთაისს—გერასიმ ქალანდარიშვილისას.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го августа 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში· რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.